უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოს იოანეს აღსაყდრება მიულოცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.03.2025. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოს იოანეს აღსაყდრება* ***მიულოცა***

მის უნეტარესობას, უნეტარეს იოანეს, ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსს

თქვენო უნეტარესობავ, უფალში საყვარელო ძმაო და ღვთის საყდართან თანამსახურო!

ტირანის, დურესისა და სრულიად ალბანეთის უნეტარესი მთავარეპისკოპოსების ტახტზე თქვენი ამაღლების დღეს, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულთბილი ძმური მოლოცვა და გულითადი კეთილი სურვილები.

თუ ერთ ასოს ევნო რაიმე, მასთან ერთად ყველა სხვა ასოც ივნება, და თუ ერთი ასო იდიდება, მასთან ერთად ყველა სხვა ასოც ხარობს (1 კორ. 12:6). წმინდა წერილის ამ სიტყვების თანახმად, დღეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სისავსე ხარობს თავის საყვარელ და-ეკლესიასთან – ალბანეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად მისი დიდებული ზეიმის დღეს: ახალარჩეული წინამძღვრის აღსაყდრების დღეს.

ჩვენს ადგილობრივ ეკლესიებს, ტვირთულობენ რა ერთმანეთის სიმძიმეს (გალ. 6:2), მშვიდობის საკვრელით შეერთებული სულის ერთობა აქვთ (ეფს. 4:3) – ერთი ხორცი და ერთი სული (ეფ.4:4) და იზიარებენ ერთმანეთის სიხარულსა და მწუხარებას. ორივე მათგანმა სრულად დააგემოვნა საშინელი უღმერთო დევნის მძიმე პერიოდის მწუხარება და ნაკლულოვანება და მრავალი თვალსაზრისით მსგავსი ისტორიული გამოცდილება აქვს: მოწამეობაც და აღმსარებლობაც თავისუფლების ნაკლებობის შეჭირვებულ პირობებში და საეკლესიო ცხოვრების შთამბეჭდავი ყოველმხრივი აღორძინება ეკლესიური ცხოვრებისა უღვთო რეჟიმების დაცემის შემდეგ. ღვთის წყალობით ჩვენ ყველაფერს ერთად გავუძელით, ერთმანეთს ძმური ლოცვით ვუჭერდით მხარს და საერთო რწმენით ვანუგეშებდით (რომ. 1:12).

დღეს მსოფლიო მართლმადიდებლობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არანაკლებ საშიშია, ვიდრე წარსულში იყო. თანამედროვე სეკულარული სამყარო ცდილობს რელიგია განდევნოს საზოგადოებრივი სივრციდან, დაამციროს რელიგიური ფასეულობების ღირსება, შეარყიოს სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების მნიშვნელობა და გაანადგუროს ტრადიციის ცნება, როგორც ამ ფასეულობების თაობიდან თაობაზე გადაცემის სისტემა. მე მჯერა, რომ ამ რთულ პირობებში ჩვენი ძმური ეკლესიები, როგორც ადრე, მჭიდროდ ითანამშრომლებენ, ერთობლივად დაუმოწმებენ გარეშეებს სახარების ჭეშმარიტებების წარუვალობას და გაუცხადებენ ღვთის ჭეშმარიტებას. მე ასევე იმედი მაქვს, რომ თქვენი წინამძღვრობის წლებში წმინდა ალბანეთის ეკლესია გააგრძელებს თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას მართლმადიდებლური ერთობის შენარჩუნების საქმეში, გულმოდგინედ დაიცავს მხსნელი ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდესა და ეკლესიის კანონიკური საფუძვლების ხელშეუხებლობას, როგორც ამას წარმატებით აკეთებდა თქვენი დიდი მარადსახსენებელი წინამორბედის, უნეტარეს მთავარეპისკოპოს ანასტასის დროს.

კვლავ და კვლავ გულითადად ვულოცავ თქვენს სიწმინდეს აღსაყდრების დღესასწაულს და მთელი გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და ღვთის მადლმოსილ შეწვნას თქვენს წინაშე გახსნილ რთულ და საპასუხისმგებლო მსახურების გზაზე. წინამძღოლობით ყოვლადწმიდა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, წმინდანთა დიდებულთა მოციქულთა პავლესი, ტიტესი და კესარიასი, მღვდელმოწამისა ასტიასისა – დირაქიის ეპისკოპოსისა, წმინდა მოციქულთასწორისა კოსმა ეტოლიელისა და ძველი ალბანეთის ყველა ზეციური მფარველისა, დაე განგამტკიცოთ და განგაბრძნოთ თქვენ ყოვლადგულუხვმა უფალმა თქვენს საწინამძღვრო მოღვაწეობაში.

იესო ქრისტეში ძმური სიყვარულით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93026/